

ძალაშია 1997 წლის 10 ნოემბრიდან

შეთანხმება

საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების თავიდან აცილების სფეროში თანამშრომლობისა და თავდაცვითი და სამხედრო კავშირების გაღრმავების შესახებ

საქართველოს და ამერიკის შეერთებული შტატები, შემგომში მხარეებად წოდებულნი,

ისწრაფვიან რა, არ დაუშვან საქართველოდან მასობრივი განადგურების იარაღისა და მასთან დაკავშირებული ტექნოლოგიების, მასალებისა და ექსპერტული მონაცემების გავრცელება;

ისწრაფვიან რა, არ დაუშვან საქართველოდან ბირთვული, ბიოლოგიური ან ქიმიური იარაღისა და მათთან დაკავშირებული მასალების არასანქცირებული გაგანა და გრანსპორტირება,

ისწრაფვიან რა, ხელი შეუწყონ მხარეებს შორის თავდაცვით და სამხედრო კონგრატებს და სხვა ერთობლივ სამხედრო ღონისძიებებს,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1

თანამშრომლობის სფეროები

1. ამ შეთანხმების ძალით ამერიკის შეერთებულ შტატებს თანამშრომლობის ხელშეწყობის მიზნით შეუძლია დახმარება გაუწიოს საქართველოს შემდეგ სფეროებში:

ა) კონგროლირებადი ზომების შემოღება საქართველოდან მასობრივი განადგურების იარაღის და მასთან დაკავშირებული ტექნოლოგიური მონაცემების გავრცელების აღსაკვეთად;

ბ) ბირთვული, ბიოლოგიური ან ქიმიური იარაღისა და მათთან დაკავშირებული მასალების არასანქცირებული გაგანისა და გრანსპორტირების თავიდან აცილება;

გ) მხარეებს შორის თავდაცვითი და სამხედრო კონგრატების და სხვა ერთობლივი

სამხედრო ღონისძიებების ხელშეწყობა;

დ) სხვა მსგავსი სფეროები, რომლებზეც მხარეები წერილობით შეთანხმდებიან.

2. ამ შეთანხმების პირობები ვრცელდება ყველა დახმარებაზე, რომელიც გაწეულია ამ შეთანხმების ან ამ შეთანხმების შესრულებისათვის საჭირო შემდგომი შეთანხმებების საფუძველზე და ყველა პიროვნებასა და ღონისძიებაზე, რომელიც საჭიროა ასეთი შეთანხმებების განსახორციელებლად. ყველა დახმარება, რომელიც გაწეულია ამ შეთანხმების საფუძველზე, გამოყენებულ უნდა იქნას მხოლოდ იმ მიზნებისათვის, რომლისთვისაც ის არის გაწეული, ამ თავის 1 პარაგრაფში ჩამოთვლილი ერთობლივი ღონისძიებების ხელშეწყობისათვის.

მუხლი 2

თანამშრომლობის ფორმები

ამ შეთანხმების 1 მუხლის 1 პარაგრაფში ჩამოთვლილი ურთიერთშეთანხმებული მიზნების მისაღწევად ამერიკის შეერთებულ შტატებს საქართველოსათვის შეუძლია შემდეგი სახის დახმარების გაწევა:

ა) მასალებისა და აღჭურვილობის გადაცემა ან სესხად მიცემა;

ბ) საქართველოს მთავრობის შესაბამის ოფიციალურ პირთა სწავლება აუდიტორიებსა და სამუშაო ადგილებზე;

გ) შეთანხმებულ სფეროებში დახმარების მიზნით საქართველოსათვის ექსპერტული უზრუნველყოფა;

დ) სისტემების, პროგრამებისა და წესდებების შეფასება და გაუმჯობესება;

ე) ორმხრივი და მრავალმხრივი ტექნიკური და პოლიტიკური ღონის დისკუსიებს წახალისება;

ვ) თავდაცვითი და სამხედრო კონტაქტებისა და სხვა ერთობლივი სამხედრო ღონისძიებების მხარდაჭერა;

ზ) სხვა ისეთი სახის დახმარება, რომლებზედაც მხარეები წერილობით შეთანხმდებიან.

მუხლი 3

აღმსრულებელი ორგანოები

თითოეულმა მხარემ უნდა დაასახელოს შეთანხმების აღმსრულებელი ორგანო, საქართველოსათვის აღმსრულებელი ორგანო იქნება თავდაცვის სამინისტრო და სახელმწიფო სამღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტი. ამერიკის შეერთებული

შტატებისათვის აღმსრულებელი ორგანო იქნება თავდაცვის სამინისტრო.

მუხლი 4

განმახორციელებელი შეთანხმებები

მხარეები თავიანთი აღმსრულებელი ორგანოების მეშვეობით, საჭიროებისამებრ დადებენ განმახორციელებელ შეთანხმებებს ამ შეთანხმებით გათვალისწინებული დებულებების შესრულებისათვის. ამ შეთანხმებასა და სხვა ასეთ განმახორციელებელ შეთანხმებებს შორის შეუსაბამობის შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება ამ შეთანხმებას.

მუხლი 5

დახმარებასთან დაკავშირებული მოთხოვნები

1. ყოველი ქმედება, დაკავშირებული ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ამ შეთანხმებით გათვალისწინებული დახმარების გაწევასთან, ექვემდებარება იგივე მოთხოვნებსა და პირობებს, რასაც ქმედებები, გათვალისწინებული საქართველოს რესპუბლიკის და აშშ-ს მთავრობებს შორის 1992 წლის 31 ივლისს ხელმოწერილი ჰუმანიტარული და ტექნიკურ-ეკონომიკური დახმარების სფეროში თანამშრომლობის ხელშემწყობის შესახებ შეთანხმების 1, 2 და 3 მუხლებით, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მიერ საქართველოს მთავრობისათვის საქონლის, მარაგების და სხვა ქონების გადმოცემასთან.
2. ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ამ შეთანხმებით გათვალისწინებული დახმარების გაწევა, აგრეთვე ექვემდებარება იგივე მოთხოვნებსა და პირობებს, რასაც ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მიერ საქართველოსთვის მთავრობისათვის გაწეული სწავლება, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას შორის 1993 წლის 20 დეკემბერს ხელმოწერილი ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო სამხედრო განათლებისა და სწავლების პროგრამით სწავლების შესახებ შეთანხმების ა, ბ და გ მუხლებით.
3. რაც შეეხება სასამართლო საქმისწარმოებასა და სარჩელებს, გარდა კონგრატეტთან დაკავშირებული სარჩელებისა, საქართველო ათავისუფლებს პასუხისმგებლობისაგან ამერიკის შეერთებულ შტატებსა და მის პერსონალს, კონგრატეტორებს და კონგრატეტორების პერსონალს ამ შეთანხმებით გათვალისწინებული ღონისძიებების დროს საქართველოში ნებისმიერი პირობების ქონების დაზიანების, სიკვდილის ან ზიანის მიყენების შემთხვევაში.
4. ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ამ შეთანხმებით ნაკისრი ყველა ვალდებულება დამოკიდებულია შესაბამისი ფონდების არსებობაზე.

მუხლი 6

ძალაში შესვლა, ვადა, შესწორების შეგანა და მოქმედების შეწყვეტა

ეს შეთანხმება ძალაში შედის მხარეების მიერ დიპლომატიური ნოტების გაცვლის დღიდან, რომლითაც ისინი ადასტურებენ თითოეული მხარის მიერ ამ შეთანხმების ძალაში შესვლისათვის აუცილებელი ყველა პროცედურის დასრულებას და მოქმედებს ხუთი წლის განმავლობაში. ეს შეთანხმება შეიძლება შესწორდეს ან გაგრძელდეს მხარეების მიერ წერილობითი თანხმობის შემთხვევაში ან შეწყდეს მისი მოქმედება, ერთი მხარის მიერ მეორე მხარისათვის ოთხმოცდაათი დღით ადრე შეთანხმების შეწყვეტის შესახებ წერილობითი შეცნობინების მიწოდების შემთხვევაში. მიუხედავად ამ, ან მისი განმახორციელებელი შეთანხმებების მოქმედების შეწყვეტისა, ამ შეთანხმების 5 მუხლის, 2 და 3 პარაგრაფებით ნაკისრი საქართველოს ვალდებულებები ძალაში რჩება დროის მიუხედავად, თუ მხარეები წერილობით არ შეთანხმდნენ სხვაგვ.

შესრულებულია ვაშინგტონში (კოლუმბიის ოლქი) 1997 წლის 17 ივლისს, ორ ეგზემპლარად, თითოეული ქართულ და ინგლისურ ენებზე, ამასთან ორივე ტექსტს თანაბარი ძალა აქვს.

საქართველოს მხრიდან

ამერიკის შეერთებული შტატების მხრიდან